



მცენარე *Paliurus spina-christi* Mill. - ძემვის თესლების ნეიტრალური ლიპიდების ქიმიური შედგენილობა და ბიოლოგიური აქტიობა

მ. ბენიძე¹, ნ. ბულისკერია¹, ნ. საყვარელიძე¹, ა. ბერეზნიაკოვა², ე. ჭემერტელიძე¹

¹თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

²ზარკოვის ეროვნული ფარმაცევტული უნივერსიტეტი

e.mail: m.benidze@tsmu.edu

აბსტრაქტი

შესწავლილია ძემვის - *Paliurus spina-christi* Mill. თესლების ლიპიდების ქიმიური შედგენილობა. ძემვის ლიპიდები ყურადღებას იპყრობენ ოქსო-, ოქსი- და ეპოქსი - მჟავების ნატიური სახით შემცველობით. ძემვის ლიპიდებში ეიკოზენის მჟავას აღმოჩენა პირველი შემთხვევაა *Rhamnaceae* - ხეჭრელისებრთა ოჯახის მცენარეებისათვის. ნაყოფების ლიპიდების ნეიტრალურ ნაწილში დაგენილია β -სიტოსტერინი - 66%, სტიგმასტერინი - 13 % და კამპესტერინი - 11%. მცენარის ნეიტრალური ლიპიდები ამჟღავნებენ რეგენერაციულ (აღმდგენ) თვისებებს, მათი გამოყენება გათვალისწინებულია როგორც ჭრილობების შემახორცებელი და ანთების საწინააღმდეგო პროექტიტების მკურნალიბის დროს.

Paliurus spina-christi Mill. - ძემვი (ოჯ.: *Rhamnaceae*- ხეჭრელისებრნი) ძლიერ დატოტვილი 3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქოვანი მცენარეა, უკუკვერცხისებრი ბრტყელი გამერქნებული ნაყოფებით, ნაყოფები 2-3 თესლით, გავრცელებულია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, ხშირად გაუვალ მასივებს ქმნის. მცენარე ყვავილობს მაისიდან ივლისამდე.

ძემვი დეკორატიული მიზნით გამოიყენება ცოცხალი ღობის შესაქმნელად. ძემვი უძველესი დროიდან იხმარებოდა ხალხურ მედიცინაში სასუნთქი გზების დაავადების დროს, ასევე როგორც საფაღარათო, ჰიპოტენზური, დიურეტული საშუალება [1,2,3].

ძემვის ფართო გავრცელებამ და მდიდარმა ბუნებრივმა რესურსებმა განაპირობა ჩვენი ინტერესი მისი შესწავლისადმი [4].

საკვლევ ობიექტად აღებული იყო მცენარის ნაყოფები თესლების სრული სიმწიფის პერიოდში (ნოემბერ - დეკემბერი), თბილისის მიდამოებში ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე. თესლებს ნაყოფსაფარისგან ვანთავისუფლებდით, ვაწვრილმანებდით და ვწვლილავდით პეტროლეინის ეთერით (დუღ. ტემპ. 40 -70° C) ოთახის ტემპერატურაზე. გამხსნელის გამოხდის შემდეგ ვღებულობდით ყვითელი ფერის ცხიმოვან ზეთს - ნეიტრლურ ლიპიდებს 22 % რაოდენობით, შემდეგი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით: d_{4^0} -0,9227; n^{20}_{D} - 1,4778; იოდის რიცხვი - 102, 6%; მჟავური რიცხვი - 4,5 მგ/ KOH; გაუსაპნავი ნაწილი - 0,2%. თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზით სილუფოლის ფირფიტაზე გამხსნელთა სისტემაში ჰეპტანი - მეთილეთილკეტონი - მმარმჟავა (43:7:0,5), ასევე ორჯერადი გარბენით სისტემებში: ჰექსანი - დიეთილის ეთერი (7:3) და (9:1) თესლების ლიპიდებში აღმოჩენილია ნახშირწყალბადები, ტრიაცილ-გლიცერიდები, ოქსო-აცილგლიცერინები, ოქსი-აცილგლიცერინები, ეპოქსი-აცილგლიცერინები, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები; არაიდენტიფიცირებული კომპონენტებით: 0,32; 0,22; 0,21; 0,13.

როგორც ჩანს ძემვის თესლების ნეიტრალური ლიპიდები ცალკეული კლასის თვისობრივი შემცველობით საკმაოდ განსხვავდება უმაღლეს მცენარეთა ლიპიდებისაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მათში ძლიერ იშვიათი ლიპიდების კლასების ოქსო-, ოქსი- და ეპოქსი - აცილგლიცერინების შემცველობა ნატიური სახით.

განმეორებული ანალიზის დროს როდესაც ობიექტი აღებული იყო იგივე ტერიტორიაზე იგივე პერიოდში ოქსო -, ოქსი - და ეპოქსი - აცილგლიცერინები აღარ აღინიშნებოდა. ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ მათი მეტაბოლიზმი იშვიათ არახელსაყრელ გარემო პირობებში მიმდინარეობდა.

ცხიმოვანი მჟავების გამოყოფის მიზნით ლიპიდების ჯამის და ტრიგლიცერიდების ფრაქციის ტუტე ჰიდროლიზი ჩავატარეთ. სილიკაგელის სვეტზე თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების ელუირება მოვახდინეთ გამხსნელთა სისტემით ჰექსანი - დიეთილის ეთერი (9 : 1) და მეთილირება დიაზომეთანით. ცხიმოვანი მჟავების მეთილეთერების ანალიზი განხორციელდა გაზურ - სითხოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით პოლარულ და საშუალო პოლარულ ფაზებზე.

საერთო ცხიმოვან მჟავებში უნაჯერი კომპონენტების გარდა აღინიშნა $\Delta 9$ (16:1), $\Delta 9$ (18 : 1), $\Delta 9,12$ (18 : 2), $\Delta 9, 12,15$ (18:3), $\Delta 11$ (20 : 1); მცირე რაოდენობით $\Delta 5, 12$ (18:2) და $\Delta 5, 12, 15$ (18 : 3). საერთო ცხიმოვან მჟავებში $\Delta 9$ რიგის უჯერ მჟავებთან ერთად აღინიშნება მჟავები $\Delta 11$ -თან ორმაგი ბმით და 20 ნახშირბადატომიანი ჯაჭვით. მონოკარბონულ ფრაგმენტებში თფქ ანალიზით დადგენილია მხოლოდ პროპიონის მჟავა (3:0). ეიკოზენის მჟავა (20 : 1) ხეჭრელისებრთა ოჯახის მცენარეების ლიპიდებში პირველადაა აღმოჩენილი.

ძემვის თესლების ნეიტრალური ლიპიდების ცხიმოვანი მჟავების შედგენილობა (გაზურ-სითხოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზი, %)

ცხიმოვანი მჟავები	ლიპიდების ჯამი		ტრიაცილ- გლი- ცერიდები	ცხიმოვა- ნი მჟავები	დიაცილ- გლი- ცერიდები
	I	II*			
12:0	0,8	0,4	1,0	-	0,8
14:0	0,2	0,4	0,5	-	0,8
16: 1	0,4	0,3	კვალი	-	კვალი
16: 0	8,0	7,7	12,0	22,5	12,4
18: 0	10,3	3,5	11,2	10,3	8,3
18:1	35,3	36,9	30,4	29,2	32,7
18:2	38,2	43,9	41,2	29,2	42,6
18:3	2,6	3,4	1,7	8,8	2,4
20: 0	-	კვალი	-	-	-
20:1	0,3	2,9	1,1	-	კვალი
არაიდენტიფიცირებული	3,9	0,6	0,9	-	-
Σ ნაჯერის	19,3	12,0	24,7	32,8	22,3
Σ უჯერის	76,8	87,4	74,4	67,2	77,7

*გადაღებულია პოლარულ, დანარჩენი - საშუალო პოლარულ ფაზებზე

ძემვის თესლების ნეიტრალური ლიპიდების გაუსაპნავ ნაწილში გაზურ - სითხოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზით დადგენილია: β- სიტოსტერინი - 66%, სტიგმასტერინი - 13%, კამპესტერინი - 11% და არაიდენტიფიცირებული კომპონენტები - 10%.

ძემვის თესლების ნეიტრალური ლიპიდების ბიოლოგიური მოქმედების გამოკვლევა ჩატარდა ხარკოვის ეროვნულ ფარმაცევტულ უნივერსიტეტში პათოლოგიის კათედრაზე პროფესორ ა. ბერეზნიავოვას ხელმძღვანელობით. ნეიტრალური ლიპიდების რეგენერაციული თვისებები და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გამოკვლეული იქნა უჯიშო ვირთხების ორივე სქესზე ფორმალინის 40% ხსნარით გამოწვეული პათოლოგიის დროს ექსპერიმენტული

პროქტიტის შემთხვევაში. შესადარებელ პრეპარატად გამოიყენებოდა ქაცვის ზეთი. დამწვრობის ჭრილობები გამოწვეული იყო 100° C ტემპერატურამდე გახურებული ლანცეტით ვირთხების მარცხენა გვერდის 2x1სმ ფართობზე 5 წამის განმავლობაში ზემოქმედებით. პროცესი ხასიათდებოდა რექტალური ტემპერატურით და ანთებითი პროცესის კლინიკური გამოვლინებით [5]. ადგილობრივი ანთების პროცესის და მძიმე ინტოქსიკაციის პერიოდში საცდელი ცხოველების 20% დაიღუპა.

დადგენილი იქნა, რომ ძებვის ნეიტრალური ლიპიდების მოქმედებით მნიშვნელოვნად მცირდება ჭრილობების ფართობი და ჩქარდება დამწვრობის იარების შეხორცება. შეხორცება-რეგენერაციის პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს ქაცვის ზეთთან შედარებით. ამავე დროს რეპარაციას თან ახლავს უფრო ნაზი ნაჭევების წარმოქმნა.

ამგვარად ძებვის თესლების ნეიტრალური ლიპიდებით მკურნალობამ კეთილხარისხოვნება გამოავლინა ექსპერიმენტული პროქტიტების შემთხვევაში. მკურნალობა ცხოველებმა კარგად გადაიტანეს. მათი საერთო მდგომარეობა მე -5 -9 დღეს აშკარად გაუმჯობესდა, ცხოველებმა გამოამჟღავნა ჩვეულებრივი აქტიობა, ტემპერატურული რეაქცია იყო რბილი და ხანმოკლე, მისი პიკი არ აღემატებოდა 0,2 -0,6°-ს. ანუსიდან ლორწოვანი გამონადენი არ იყო ჩირქოვანი და პროცესი იყო ხანმოკლე [5].

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე აღინიშნა მოსაზრება, რომ ძებვის თესლების ნეიტრალური ლიპიდები რეკომენდირებული იქნას, როგორც ჭრილობების შემახორცებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება პროქტიტების შემთხვევაში.

ლიტერატურა

- Растительные ресурсы СССР. – Л. Наука, 1988, 330с.
2. А. А. Гроссгейм. Растительные богатства Кавказа. – М.-МОИП, 1952. 454с.
3. А. А. Гроссгейм. Флора Кавказа. М. – Л. АН СССР, т.6, 1962, 424с.
4. Takım, K., Bioactive component analysis and investigation of antidiabetic effect of Jerusalem thorn (*Paliurus spina-christi*) fruits in diabetic rats induced by streptozotocin. Ethnopharmacol. 2021, V. 264, P. 1-13
5. Э.П.Кемертелидзе, Ц.М.Далакишвили. Биологически активные липиды некоторых растений произрастающих в Грузии. – Тбилиси.- Мецниереба, 1996. 186с.

Chemical composition and biological activity of neutral lipids from the seeds of the Paliurus spina – christi Mill.

M.Benidze¹, N. Buliskeria¹, N. Sakvarelidze¹, A. Bereznyakova,² E. Kemertelidze¹

¹TSMU Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry

²Kharkov National University of Pharmacy

Abstract

The chemical composition of lipids from the seeds of the Paliurus spina – christi Mill. attracted attention due to the presence of oxo-, oxy- and epoxy-acids in their native form. Eicosenic acid in lipids of Paliurus spina –christi is the for first time for plants of the family Rhamnaceae. β -sitosterol - 66%, stigmasterin - 13% and campesterin - 11% are found in the neutral part of fruit lipids.

Neutral lipids from the fruits of the Paliurus spina – christi, characterized by regenerative properties, are provided to be used as a wound-healing and anti-inflammatory agent in the treatment of proctitis.